ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით უნივერსითი რესერჩ კო, (URC) 2011 წლის სექტემბრიდან ახორციელებს საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის (TPP) ოთხწლიან პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს USAID-ის და საქართველოს მთავრობის საერთო ამოცანის შესრულებას - ტუბერკულოზის ყველა შემთხვევის შემცირებას ქვეყანაში და ამით ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას. ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი ხელს შეუწყობს კლინიკური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მის ფარგლებში მიღწეულ იქნას ტუბერკულოზის გლობალური მიზნები, კერძოდ, წარმატებით განხორციელდეს ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის მულტი- და ექსტენსიურად რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა, უზრუნველყოფილი იქნას ინფექციის კონტროლით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, შემცირდეს შეწყვეტილი მკურნალობის მაჩვენებელი, გაუმჯობესდეს რთულად მისაღწევი მოსახლეობის მოცვა და ჯამში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდეს ტუბერკულოზის ადეკვატური ეროვნული პოლიტიკა. პირველი წლის განმავლობაში შემუშავდა ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინი და ხარისხის სტანდარტები, ტრენინგი ჩაუტარდა 420 ოჯახის ექიმსა და ზოგადი პრაქტიკის ექთანს, ჩამოყალიბდა ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თანამშრომლობები, ჩატარდა ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის კვლევა, შემუშავდა ადვოკაციის, კომუნიკაციის და სოციალური მობილიზაციის სტრატეგია და დაიწყო მცირე გრანტების პროგრამა. მომდევნო წელს პროგრამის აქტივობები კიდევ უფრო გაფართოვდება.

იხილე დაწვრილებით: http://www.tpp.ge